ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4762236

ნომერი: AR1715900

თარიღი : 30.10.2019

გაცემის თარიღი : 22.11.2019

გაცნობის თარიღი : 22.11.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქეთევან წამებულის მოედანი N2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პავლე თავხელიძე პ/ნ 60001146086
- ქუთაისი მ.კოსტავას ქ. N 84

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  კორექტირება

* .კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის სხდომის ოქმი N46 .

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ქეთევან წარმებულის მოედანი N2-ში არსებული ფართის ფასადზე კორექიტრებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის სამუშაოებს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განხორციელების შესაძლებლობას სამსახური ადასტურებს წერილობით. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ ''საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა; საპროექტო ფოტომონტაჟი; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - N 882014587476, N 01.17.01.010.001.01.514; 2019 წლის 28 ივნისის N121/10 მინდობილობა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობას და ადასტურებს ქ. თბილისში, ქეთევან წარმებულის მოედანი N2-ში არსებული ფართის ფასადზე კორექიტრებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge